

ოთახის მოწყობის ძირითადი პირობები: მასწავლებლის თვალსაზრისი

ტერი ჯო სვიმი, ფილოსოფიის დოქტორი

შემოდგომაა. თქვენ და ბავშვები დღის რეჟიმს შეეჩვიეთ. სასწავლო გეგმა უკვე ჩამოყალიბებულია და სწავლება მიმდინარეობს. მაგრამ არის ეს სწავლება ოპტიმალური? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად რა და რას უნდა დავაკვირდეთ? ჩვენ მიერ დაგეგმილ სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებულ გამოცდილებას, ფიზიკურ გარემოს, მასალას, რომელსაც ბავშვს ვაწვდით, თუ ურთიერთობის ტიპს, რომელსაც ვამყარებთ ბავშვებსა და მის ოჯახებთან? იმის გათვალისწინებით, რომ ფიზიკური გარემო ძალიან მნიშვნელოვანია, ამ სტატიაში განხილულია, რა გავლენას ახდენს ფიზიკური გარემო ბავშვების სწავლასა და განვითარებაზე, როგორ ქმნიან მასწავლებლები მნიშვნელოვან სასწავლო გარემოს თავიანთთვის და ბავშვებისთვის?

ფიზიკური გარემოს მნიშვნელობა

ფიზიკური გარემო ჯგუფში „მესამე“ მასწავლებლად ითვლება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გარემო წარმართავს ბავშვისა და უფროსების შესაბამის ქცევას. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რა განსხვავებული გავლენის მოხდენა შეუძლია გარემოს თქვენს ქცევაზე, როცა ხართ ეკლესიაში, ბიბლიოთეკაში, სავაჭრო ცენტრში ან რესტორანში. ყველა ეს გარემო შესაფერისი ქცევითვის შეტყობინებებს გვიგზავნის. სივრცის მოწყობა და მასალებით უზრუნველყოფა შესაფერის ქცევაზე მინიშნებას გვაძლევს. უფროსებს, რომლებიც პასუხისმგებლები არიან სივრცის მოწყობაზე, იშვიათად უხდებათ სხვებისათვის თავიანთი მოლოდინის შესახებ შეხსენება, ამას, მათ ნაცვლად, გარემო აკეთებს. ისევე როგორც ბიბლიოთეკის გარემოს დაპროექტების შემთხვევაში, თქვენ მიერ გარემოს ყურადღებით დაგეგმვა ბავშვებს დაეხმარება, გარემო თქვენი მოლოდინის შესაბამისად გამოიყენონ.

ოთახის ესკიზი

სანამ გაარკვევთ, როგორ მოამზადოთ გარემო, უნდა გააკეთოთ თქვენი ოთახის ძირითადი და მასთან დაკავშირებული სივრცეების, რომლებსაც დღის განმავლობაში გამოიყენებთ, მაგალითად, ბავშვის ტუალეტის ან დახურული შიდა ეზოს ესკიზები. თქვენს ესკიზზე ასევე უნდა აღნიშნოთ შტეფსელების, ტიხრებისა და სხვა მუდმივი ნაგებობების ან ავეჯის მდებარეობა, რომელსაც ადგილს ვერ შეუცვლით და იატაკის საფარის ტიპი. ამ სტატიის წაკითხვა შეგახსენებთ, რომ ნახაზს კიდევ რაღაც უნდა დაამატოთ.

სასწავლო ცენტრები

სტატიის მიხედვით, სასწავლო ცენტრების მნიშვნელობიდან გამომდინარე ისინი ოთახებში უნდა მოეწყოს. სასწავლო გარემოს დაგეგმვისას უნდა გაიაზროთ, „რამდენი და რა სასწავლო ცენტრი უნდა გქონდეთ ოთახებში?“

სასწავლო ცენტრების რაოდენობა და ტიპი დამოკიდებულია ოთახების ზომასა და ბავშვების ასაკზე. საზოგადოდ, ცენტრების შექმნის არჩევანის მაქსიმუმამდე და კონფლიქტის მინიმუმამდე დასაყვანად პრაქტიკული იქნება ბავშვების რაოდენობის სამი მეოთხედით მეტი სამუშაო სივრცის გამოყოფა. საილუსტრაციოდ, თუ გყავთ 24 სასკოლო ასაკის ბავშვი, თქვენ გჭირდებათ $(24 \times 1/3) + 24$ ანუ 32 ადგილი სამუშაოდ. ეს შეიძლება ნიშნავდეს სამ ადგილს სენსორულ მაგიდასთან, ორს – მოლბერტთან, ოთხს – ხელოვნების მაგიდასთან, ოთხს – საწერ მაგიდასთან, ექვსს – კუბებთან, ოთხს – დრამატულ ცენტრთან, ოთხს – აღმოჩენების ცენტრთან, სამს – ბიბლიოთეკისთან და ორიც, კიდევ, პერსონალური ადგილი იქნება.

რეალური საგნები ღია მასალის საპირისპიროდ

ბავშვებს ყურადღების კონცენტრაციისათვის, ოთახში ახალ და ნაცნობ საგნებს შორის, წონასწორობის დაცვა სჭირდებათ (უფრო ღრმა ანალიზისათვის იხ. შემდეგი ნაწილი). როცა ბავშვები დაკავებულნი არიან მასალებითა და იდეებით, ნაკლებად აქვთ ვინმესთვის ზიანის მიყენების ან ცუდად მოქცევის შესაძლებლობა და, ამგვარად, მასწავლებელი მათი ქცევის ნაცვლად სწავლებას წარმართავს. ადრეული ბავშვობის პერიოდში ბავშვები სწავლობენ იმ საგნების გამოყენებას, რომლებიც მათთვის გარემო სამყაროს შესახებ თავიანთი წარმოდგენების გამოხატვის საშუალებებს წარმოადგენენ. თანაფარდობის დაცვა რეალურ და ღია მასალებს შორის ხელს უწყობს ცნობიერების განვითარებას. ბავშვების ისეთი მასალებით უზრუნველყოფა, როგორცაა ჭიქები სადილის დროს, საბავშვო ბარები - ბალის დასაბარად : 1) საგნების მოფრთხილების უნარს გვიჩვენებს და 2) ბალისა და სახლის გარემოს ერთმანეთთან აკავშირებს. ბავშვების ინტერესების შესაბამისად წარმოდგენილი ნამდვილი საგნები ხელს უწყობს კონკრეტულ თემებსა და საგნებზე დაფიქრებას. მეორე მხრივ, ღია მასალის დანიშნულება შეიძლება იყოს ბავშვების მიერ ცნებების უკეთესად გაგება და მასალების შემოქმედებითად გამოყენება. ღია მასალაა ქსოვილები, მუყაო, პლასტმასი, კენჭები, ნიჟარები, კვერცხის ჩასაწყობი მუყაოს კოლოფები და ისეთი საგნები, როგორცაა ხის კუნძები, ადამიანისა და ცხოველის ფიგურები და ა.შ. ღია მასალას შეუძლია, ნებისმიერ სასწავლო ცენტრში ბავშვების სწავლასა და განვითარებას ბიძგი მისცეს, ხელი შეუწყოს და დაეხმაროს. მასალის აკურატულად დაწყობა კალათებსა და სხვა კონტეინერებში ბავშვის სიმალეზე, მათ ბავშვებისათვის ადვილად ხელმისაწვდომს ხდის.

დამოუკიდებლობა დამოუკიდებულების საპირისპიროდ

უფროსების უპირველესი მიზანია, ბავშვები დამოუკიდებლები და თვითრეგულირებადები გახდნენ. ამისათვის მასწავლებლებმა გულისყურით უნდა დაგეგმონ ფიზიკური გარემო. მასალის ხელმისაწვდომობა ბიძგს აძლევს ბავშვის სოციალურ და ემოციურ

განვითარებას, რადგან ბავშვებს შეუძლიათ დამოუკიდებლად შეარჩიონ მასალა, ადვილად მოაწესრიგონ, სანამ სასწავლო სივრცეს დატოვებენ.

კითხვა განსჯისათვის: რომელი სასწავლო ცენტრის შექმნას ვარაუდობთ ან უკვე გადაწყვიტეთ, როგორ გარემოს შექმნით კონკრეტული ჯგუფისთვის ან ბავშვებისათვის? როგორ შეგიძლიათ აუხსნათ თქვენი არჩევანი ბავშვებს, ოჯახებს ან თქვენს კოლეგებს? თქვენი ესკიზის უკანა მხარეს გააკეთეთ ცენტრების სახელების ან იარლიყების ჩამონათვალი.

სივრცის გამოყენება

მუშაობის დასაწყებად მნიშვნელოვანი კითხვაა: „როგორ მოვაწყო სამუშაო სივრცე, რომ ბავშვებმა კარგად გამოიყენონ?“ მასწავლებლები ქმნიან გარემოს, რათა ხელი შეუწყონ ყველანაირი უნარ-ჩვევების (მათემატიკური, სოციალური და ა.შ.) განვითარებას. ამგვარად, ბავშვის განვითარებისა და სწავლების თეორიების შესახებ ძირითადი მიდგომა მართავს თქვენს მოსაზრებას იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენოთ ოთახის სივრცე.

ჭუჭყიანი სუფთას საპირისპიროდ

აუცილებელია სივრცის მოწყობა ისე, რომ სენსორულ მასალებს ბავშვები ყოველდღიურად ეცნობოდნენ. ეს გამოცდილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პატარა ბავშვებისთვის, რადგან ისინი სენსორულ-მამოძრავებელი და პრაქტიკული გამოცდილებით ცნობიერ სტრუქტურებსა და სქემებს ქმნიან (ესე იგი, მჭიდროდ ორგანიზებული იდეების წყებას კონკრეტული საგნების ან სიტუაციების მიხედვით). ზოგიერთი ტიპური არეული ცენტრები მოიცავს წყლის და/ან სენსორულ მაგიდებს, სახატავ მოლბერტს და სახატავ მასალას. მაგალითად, წყლის თამაშები ბავშვებს რაოდენობის შესახებ ცოდნის, ლექსიკის გამდიდრების, მასალების გაზიარებაზე შეთანხმების შესაძლებლობას აძლევს. რისი გააზრება სჭირდება მასწავლებელს, როცა ჯგუფში უწესრიგობასთან დაკავშირებულ პრობლემას აგვარებს?

პირველი- რაიმეს დაღვრა, მაგალითად, ლინოლეუმის იატაკზე აიოლებს გასუფთავებას, მეორე – სველ წერტილთან ამ მასალის მოთავსებით ბავშვებს უადვილდებათ გასუფთავება და ხელს უწყობს მათ, გამოცდილება ახალი ელემენტებით შეავსონ. მაგალითად, თუ სენსორული მაგიდა სავსეა მშრალი ქვიშით, ბავშვებს შეუძლიათ წყლის მოტანა დოქებით და ქვიშის თვისებრივად შეცვლა. მესამე – თუ მასალა, მაგალითად, ნაგავი, სენსორულ მაგიდაზეა, ახლომახლო ცოცხისა და აქანდაზის მოთავსება ბავშვებს გარემოს დასუფთავებას შეახსენებს.

თუ შესაფერისი იატაკი არა გაქვთ , უნდა იყოთ შემოქმედებითები, რომ ბავშვები ასეთი ღირებული სასწავლო გამოცდილებით უზრუნველყოთ. ამ საკითხის გადაჭრა სენსორული მაგიდის ან მოლბერტის ქვეშ გაზეთების, პირსახოცების ან მუშამბის დადებით შეგიძლიათ. ამ პრობლემის მოგვარების კიდევ ერთი საშუალებაა მსგავსი ყოველდღიური საქმიანობების შენობის გარეთ დაგეგმვა.

ხმაური სიჩუმის საპირისპიროდ

ზოგიერთი აქტივობა მეტად ხმაურიანია. ბავშვებს ერთმანეთთან საურთიერთოდ სჭირდებათ მოლაპარაკება და თანამშრომლობა და ხანდახან ეს ურთიერთობები მძაფრდება. თუმცა მასწავლებლის მიზანი უნდა იყოს ამ ურთიერთობებისთვის ხელის შეწყობა, რომ ბავშვებმა შეიძინონ პერსპექტივის აღქმისა და პრობლემების გადაჭრის საჭირო უნარ-ჩვევები და არ შეწყვიტონ ურთიერთობები. გარემოს მართვისა და სწავლების ხელის შეწყობის მიზნით მასწავლებლებს შეუძლიათ ხმაურიანი ადგილების ერთმანეთის ახლოს განთავსება. ხმაურიანი ცენტრი ნიშნავს კუბურებთან დაკავშირებულ აქტივობებს , ადგილს სპექტაკლების დასადგამად, მუსიკასა და რიტმულ მოძრაობებს და საპროექტო სამუშაო ადგილებს. ამ ცენტრების მოთავსება ერთმანეთის გვერდით ორ მიზანს ემსახურება: პირველი – ხმაური ოთახის კონკრეტულ ადგილას იქნება კონცენტრირებული. ეს საშუალებას მისცემს ბავშვებს, უკეთესად მოახდინონ კონცენტრაცია. მეორე – ისეთი სივრცეების ერთად განთავსება, სადაც ბავშვებს მასწავლებლის მეტი

ზედამხედველობა და დახმარება სჭირდებათ (მაგალითად, მასწავლებლები ბავშვებს პრობლემების გადაჭრაში ეხმარებიან), უფროსებს საშუალებას აძლევს ამ ურთიერთობაში ჩაერთონ ისე, რომ მუდმივად არ იმოძრაონ ოთახის სხვადასხვა მხარეს განთავსებულ ხმაურიან ცენტრებს შორის.

წყნარი ცენტრები შედგება ბიბლიოთეკისა და კითხვის ცენტრებისაგან. თქვენ და ბავშვებს უნდა გქონდეთ ისეთი ადგილები, სადაც განმარტოების საშუალება მოგეცემათ. ასეთი პერსონალური ადგილები ბავშვებს საშუალებას აძლევს, გადაჯგუფდნენ და აზრები მოიკრიბონ, სანამ სხვებს შეუერთდებიან. სხვა ცენტრებში თამაში, როგორცაა, მაგალითად, მეცნიერების ცენტრი, მერყეობს წყნარსა და ხმაურიანს შორის, რაც დამოკიდებულია მოწოდებული მასალის ტიპსა და ბავშვების ჩართულობის დონეზე და ამგვარად მისი კლასიფიკაცია უფრო რთული ხდება. ეს ადგილები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ხმაურიანი ადგილიდან წყნარზე გადასასვლელად. როცა მასწავლებლები გადაწყვეტენ, სად მოაწყონ სასწავლო ცენტრები, უნდა გაითვალისწინონ სხვა ტიპის ცენტრების საჭიროებაც. ილუსტრაციისათვის, მუსიკისა და მოძრაობის ცენტრს სჭირდება შტეფსელი სიდი-ფლეიერისათვის, თაროები მუსიკალური ინსტრუმენტებისათვის, კალათები შარფებისა და ლენტებისათვის, სარკეები მოძრაობაზე დასაკვირვებლად და სივრცე რიტმული მოძრაობისა და ცეკვებისათვის. შეზღუდული რესურსების გამო მასწავლებლებს ხშირად უხდებათ მაქსიმალურად გამოიყენონ ის მოწყობილობები და მასალები, რომლებიც ხელთ აქვთ. დრამატული წარმოდგენების სივრცესთან ახლოს მუსიკისა და მოძრაობის ცენტრის განთავსების ერთ-ერთი მიზანია სარკისა და ქსოვილების კალათის გაზიარება.

კითხვა განსჯისათვის: როგორ მოაწყვეთ ან უნდა მოაწყოთ სასწავლო ცენტრები, რომელიც თქვენი ჯგუფისთვის შეარჩიეთ? დაწერეთ ამ ცენტრების სახელები თქვენს ნახაზზე იმ ადგილას, სადაც მისი განთავსება გასურთ.

მშვიდი და უსაფრთხო სასწავლო გარემო

მეორე კითხვა, რასაც მუშაობის დროს წააწყდებით, არის: „როგორ უნდა შევქმნა მშვიდი და უსაფრთხო გარემო, რომელიც სტიმულს მისცემს სწავლებას?“ აქ ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ კითხვის ბოლო ნაწილზე: „სწავლების გამოცდილების სტიმულირება“.

სიახლე ნაცნობის საპირისპიროდ

მასწავლებლები და ბავშვები იმსახურებენ ლამაზი საგნებისა და მასალების გარემოცვაში ყოფნას. ზოგიერთი ეს საგანი, ჩვეულებრივ, გარემოს ნაწილი უნდა იყოს, მაშინ როცა ზოგი მხოლოდ ინტერესის გასაღვიძებლად შეიძლება იყოს შემოტანილი.

ოთახის სივრცე უნდა იცვლებოდეს ისე, რომ ბავშვებს ჰქონდეთ სხვა პერსპექტივების კვლევის შესაძლებლობაც. მაგალითად, კიბით სხვენზე ასვლა და იქიდან გადმოხედვა მას სამყაროს ახლებურად დაანახვებს. ბავშვებისათვის ახალი საგნების მიწოდებით, მასწავლებლებს შეუძლიათ გარემოს შეცვლა და სააზროვნოდ სტიმულის მიცემა. ოთახში იატაკის საფარის ნაირსახეობა ბავშვებს შესაძლებლობას აძლევს, ბუნებრივ გარემოში შეიგრძნონ მაგარი- რბილის და თბილი- ცივის საპირისპიროდ.

ნაცნობ საგნებზე წარმოდგენის შექმნის კიდევ ერთი საშუალებაა სახლის გარემოს მსგავსი სივრცის შექმნა. მაგალითად, შესასვლელში სავარძლის, სანათიანი მაგიდის დადგმით სასტუმრო ოთახის იმიტაციას ვახდენთ. ამით, არა მარტო სითბოსა და კომფორტს შევმატებთ სასწავლო გარემოს, არამედ ხელს შევუწყობთ უსაფრთხოების განცდის შექმნასაც .

ბილიკები საზღვრების საპირისპიროდ

როცა საკლასო ოთახის ესკიზს ქმნით, უნდა გაიაზროთ, როგორ შემოსაზღვრავთ სასწავლო ცენტრებს. ხილული საზღვრები სასწავლო ცენტრებში ბავშვებს აშკარა შეტყობინებას უგზავნის, რომ მასალების კონკრეტულ გარემოში გამოყენება შეიძლება. ზედამხედველობის

გასამარტივებლად გამოიყენეთ სხვადასხვა სახის გამყოფები, მაგალითად, წიგნის თაროები, გამჭვირვალე ქსოვილები, ზეწრები ან დეკორატიული აკრილი. გამჭვირვალობა, ანუ საკლასო ოთახში ცენტრებს შორის ხილვადობის შესაძლებლობა ბავშვებს უადვილებს თამაშს, რადგან მათ შეუძლიათ სხვადასხვა ცენტრის მასალების ერთმანეთთან დაკავშირება. ამგვარად, რადგან ჩვენ ვაწყობთ გამჭვირვალე სასწავლო ცენტრებს, ბავშვებს მასალების ერთი ცენტრიდან მეორეში გადატანა შეუძლიათ, როცა სჭირდებათ. საზღვრების დაგეგმვის დროს ფრთხილად უნდა განსაზღვროთ, თუ რა ფართობი გჭირდებათ თითოეული სივრცისათვის.

ზემოთ აღწერილი ხმაურიანი სივრცისათვის მეტი ფართობია საჭირო, ვიდრე მშვიდისთვის (რომელიც ასევე აღწერილია ზემოთ), რადგან იქ უფრო მეტი ასოცირებული და კოოპერაციული თამაშები მიმდინარეობს.

მასწავლებელმა ასევე უნდა გაიაზროს, თუ როგორ გამოიყენოს ღია სივრცე. საჭიროა ისეთი სივრცეც, სადაც ბავშვები და უფროსები ერთდროულად მოთავსდებიან, ჩვენ ხშირად ამ სივრცეებს ერთმანეთის გვერდით განვალაგებთ. როცა მთელი ჯგუფი არ იყენებს სივრცეს, ეს ბავშვების მიერ აღიქმება, როგორც „ხმაურიანი“ თამაშის ადგილი. ამ ადგილის გაზიარება მუსიკისა და მოძრაობის სივრცესთან ლოგიკურია, რადგან თითოეულ ამ ცენტრს სივრცე სჭირდება.

ასევე ყურადღებით უნდა დაიგეგმოს ბილიკები ოთახში და გარეთაც, მათ შორის ცენტრებს შორის. ბაღში მოსულ ბავშვს უნდა შეეძლოს ნელ-ნელა, თანდათანობით შევიდეს ოთახში, ბავშვში სტრესს გამოიწვევს, თუ მას საკუთარი ნივთების შესანახად, მთელი ოთახის გადაკვეთა მოუწევს. ცენტრებს შორის მოძრაობა, ერთი ცენტრიდან მეორეში გადასვლა ბავშვებს ყურადღებას გაუფანტავს. მაგალითად, გსურთ, რომ ბავშვებმა გაიარონ კონსტრუქციული ცენტრის სივრცე, მუსიკალურ ცენტრამდე მისაღწევად? ბავშვების ქცევიდან ჩანს, რომ ოთახის ასეთი მოწყობა არ გამოდგება.

კითხვა განსჯისთვის: თქვენს ესკიზს დაუმატეთ სასწავლო ცენტრების საზღვრები. რა ტიპის სტრუქტურებს გამოიყენებთ ან იყენებთ ცენტრების ფიზიკურად გამიჯვნისათვის? მონიშნეთ ასევე ბილიკები, როგორ უნდა იმოძრაონ ბავშვებმა მათ შორის.

ძირითადი საჭიროებები

ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინების დროს, თქვენ ,ასევე, უნდა გამოყოთ ადგილი ძირითადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ისმის კითხვა: „როგორ უნდა დავგვემო გარემო, ბავშვების ძირითადი მოთხოვნილებები რომ დავაკმაყოფილო?“

კვება ტუალეტით სარგებლობის საპირისპიროდ

ჩვილებისა და ახალფეხადგმული ბავშვების ზოგიერთ ოთახს ყოფს ტანსაცმლის გამოსაცვლელი მაგიდა და საჭმლის მოსამზადებელი დახლი სველი წერტილით. ამან შეიძლება საფრთხე შეუქმნას, როგორც უფროსების, ისე ბავშვების ჯანმრთელობას. ჰიგიენური თვალსაზრისით, კვებისა და ტუალეტით სარგებლობის სივრცეები ერთმანეთისაგან უნდა იყოს გამიჯნული. ეს შედარებით მარტივია სკოლამდელი ასაკის ბავშვების ოთახებში, მაგრამ შეიძლება უფრო რთული იყოს ჩვილებისა და ახალფეხადგმული ბავშვების ოთახებში. საფენების გამოცვლას ყოველდღიურად მასწავლებლის დიდი დრო მიაქვს. ამიტომ მოვლის გასაიოლებლად გამოსაცვლელი მაგიდები, ხშირად, ოთახებშია განლაგებული. მაგიდების მოთავსება სველ წერტილთან აადვილებს ხელის დაბანას. ამასთან, მაგიდა ისე უნდა დადგათ, რომ ბავშვებისაგან ზურგით არ იდგეთ, როცა ერთ-ერთ მათგანს საფენს უცვლით.

ძილი და დასვენება თამაშის საპირისპიროდ

დღის განმავლობაში ყველა ბავშვს სჭირდება დრო დასვენებისა და ძალ-
ღონის მოსაკრებად. ეს გარემო ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ძილისა
და დასვენების დროს წყნარი და მშვიდი ატმოსფერო უნდა იყოს
შექმნილი. ფანჯრებზე სქელი ფარდების ჩამოფარება, წყნარი მუსიკის
მოსმენა და თითოეული ბავშვისათვის კომფორტული საგნების
(მაგალითად, საბნების, საყვარელი პლუშის სათამაშოების) გადაცემა
შეიძლება მასწავლებლებს დაეხმაროს, დღის განმავლობაში, ბავშვების
თამაშის პროცესიდან- ძილის მდგომარეობაში გადასაყვანად.
მაგალითად, ეს დანიშნულება აქვს კალათს წიგნებით, ქაღალდებით,
ფანქრებითა და უხმაურო სათამაშოებით, რომლითაც საწოლზე
დაწოლილი ან მაგიდასთან მჯდომი ბავშვი იყენებს ძილის
მოსაგვრელად.

კითხვა განსჯისათვის: ჩემს ესკიზზე როგორ უნდა გამოვეყო საკმარისი
ადგილი ბავშვების ძირითადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად?
სად უნდა შევინახოთ საჭირო მოწყობილობები (მაგალითად, საწოლები
და მაღალი სკამები), როცა აღარ ვიყენებთ?

მუდმივი ფიქრი ფიზიკური გარემოს შესახებ

რამდენად ხშირად ითვალისწინებთ ამ სტატიაში განხილულ ძირითად
კითხვას: „როგორ ქმნიან მასწავლებლები მნიშვნელოვან გარემოს
თავიანთი თავისთვის და ბავშვებისათვის?“, თუ ვერ იხსენებთ,
უკანასკნელად როდის დაფიქრდით ამ კითხვაზე, მაშინ თქვენი
წარმოდგენა გარემოზე სტატიკური ან უცვლელია. სხვა სიტყვებით რომ
ვთქვათ, თქვენ ფიქრობთ, რომ ფიზიკური გარემო გავლენას არ ახდენს
სწავლებაზე და პირიქით. სპეციალისტები რეგულარულად განიხილავენ
ამ საკითხს, რადგან მასზე პასუხი მუდმივად ცვალებადია.
მასწავლებლებმა განუწყვეტლივ უნდა შეაფასონ და რეაგირება
მოახდინონ განვითარების ცვალებად საჭიროებებსა და ბავშვების
ინტერესებზე. მაგალითად, როცა სკოლამდელი ასაკის ბავშვები
ინტერესდებიან რკინიგზებით, სასწავლო ცენტრები და მასალა მათ
ინტერესს უნდა შეესაბამებოდეს. რადგან ეს ინტერესი მოგზაურობად

გადაიქცევა, საჭიროა შეიცვალოს როგორც ცენტრების ტიპები და რაოდენობა, ისე მასალაც.

დასკვნა

ეს სტატია მასწავლებლებს დაეხმარება ოთახის ფიზიკური გარემოს დაგეგმვაში, რომელმაც ბავშვის განვითარებისათვის საჭირო სოციალური, ემოციური, ფიზიკური და ცნობიერი საჭიროებები უნდა დააკმაყოფილოს. თუ ეს პროფესია ახალი ათვისებული გაქვთ, ვიმედოვნებ, უფრო კარგად გაიგებთ ფიზიკური გარემოს გავლენას ქცევაზე და სწავლაზე. თუ გამოცდილი ხართ, ეს სტატია შეგახსენებთ, რომ დაფიქრდეთ თქვენი ოთახის გარემოზე. თუ თქვენ ფიქრობთ ცვლილებებზე თქვენს ჯგუფში, დაფიქრდით, ჩვეულებრივ, როგორ რეაგირებენ ადამიანები ფიზიკური გარემოს ცვლილებაზე. ცვლილებებს უფრო ადვილად ეგუებიან, როცა თანდათან, ნელ-ნელა მიმდინარეობს. ასე რომ, კარგად თუ დაფიქრდებით თქვენს ფიზიკურ გარემოზე, უნდა გადაწყვიტოთ, რომელი ცვლილებები უნდა განახორციელოთ პირველად, მეორედ და ასე შემდეგ.

ამრიგად, თუ გსურთ, რომ ბავშვებმა ირბინონ ოთახში, ცენტრები განალაგეთ ოთახის პერიმეტრის ირგვლივ და ღია სივრცე დატოვეთ შუაში, რაც ბავშვებს აგრძნობინებს, რომ სირბილი მისაღებია. თუ გინდათ, რომ ბავშვებმა იხეტიან ცენტრებს შორის, მაშინ თითოეული სასწავლო ცენტრისათვის გამოყავით სივრცე საზღვრების გარეშე ან გამიჯნეთ ბილიკებით.